ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
**Center for Mental Health and Prevention of Addiction LTD**
საიდენტიფიკაციო კოდი **404945164 Identification Code**
საქართველო, 0186, თბილისი, ქავთარაძის ქ N21ა
**21a Kavtaradze street, Tbilisi, 0186, Georgia. E-mail:** mhpa@mhpa.ge
Tel.: (99532)2300329; (99532)2301097 Fax: (99532)2301028

N OL-11202/-9/17

თარიღი 14.09.2017

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
1505
030118858809016

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" (შემდგომში - „ცენტრი") დაფუძნებულია 2012 წლის 23 მაისს, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, სს „მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" და სს „ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" გაერთიანების შედეგად.

ცენტრი მონაწილეობას იღებს საქართველოს მთავრობის მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" N638 დადგენილებით (შემდგომში - „დადგენილება") დამტკიცებული პროგრამების - „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის" (პროგრამული კოდით: 35.03.02.10) და „ფსიქიკური ჯანმრთელობა" (პროგრამული კოდით: 35.03.03.01) განხორციელებაში და მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის, ფსიქიატრიული - ამბულატორიული, ფსიქიატრიული - სტაციონარული და სხვა პროფილური სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ემსახურება ათასობით პაციენტს სრულიად საქართველოს მასშტაბით.

საქართველოს მთავრობის მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" N638 დადგენილებით (შემდგომში - „დადგენილება") დამტკიცებული პროგრამის - „ფსიქიკური ჯანმრთელობის" (პროგრამული კოდით: 35.03.03.01) განხორციელებას ქალაქ ზუგდიდში (სამეგრელო) უზრუნველყოფს შპს „ზუგდიდის სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერი" (საიდენტიფიკაციო კოდით: 220007105) - 13 160 (ცამეტი ათას ასსამოცი) ლარის ფარგლებში.

შპს „ზუგდიდის სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერი" დღეის მდგომარეობით განთავსებულია შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში, მდებარე ქ, ზუგდიდში, გამარჯვების ქუჩა N5 - ში (ს/კ 43.31.55.564.01.505) შესაბამისი სამართალურთიერთობის საფუძველზე.

ამასთან, შპს „ზუგდიდის სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერის" სამედიცინო და ადმინისტრაციული პერსონალი შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებულია ცენტრის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ ზუგდიდის N11 განყოფილებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის ადმინისტრაციული, სამედიცინო, ტექნიკური და საკადრო რესურსის გათვალისწინებით, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს" შესწევს უნარი, ჯეროვნად განახორციელოს „ფსიქიკური ჯანმრთელობის" სახელმწიფო პროგრამის ფსიქიკური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი სამეგრელოში, პროფილური გამოცდილების ხარჯზე, სერვისის ოპტიმიზაციის, ადმინისტრაციული ხარჯის შემცირებისა და ხარჯთეფექტურობის გაზრდის გზით.

გთხოვთ, საქართველოს მთავრობის მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" N638 დადგენილებით (შემდგომში - „დადგენილება") დამტკიცებული პროგრამის - „ფსიქიკური ჯანმრთელობის" (პროგრამული კოდით: 35.03.03.01) ფსიქიკური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის გამხორციელების უფლება ქალაქ ზუგდიდში (სამეგრელოში) მიანიჭოთ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს" ნაცვლად შპს „ზუგდიდის სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერისა".

გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 92471
14 09 2017 წ.
1 ფურცელი

საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის

უფროსს ქალბატონ მარინა დარახველიძეს

№ 678
7. 11. 2017 წ.

თქვენი 01.11.2017 წლის #01/68325 წერილის პასუხად შ.პ.ს."ზუგდიდის სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერი" გაცნობებთ, რომ ჩვენი სამსახური თითქმის ოთხი ათეული წელია ემსახურება როგორც ზუგდიდის, ისე წალენჯიხა–მესტიის და აფხაზეთიდან დევნილ ფსიქიკურად დაავადებულ მოქალაქეებს „ფსიქიკური ჯანმრთელობის" პროგრამის ფარგლებში. კერძოდ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" #638 დადგენილებით (შემდგომში „დადგენილება") დამტკიცებული პროგრამის – „ფსიქიკური ჯანმრთელობის" (პროგრამული კოდით: 35.03.03.01) განხორციელებას ქალაქ ზუგდიდში (სამეგრელო) უზრუნველყოფს შ.პ.ს. „ზუგდიდის სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერი" (ს/კ 220007105) –13160 (ცამეტიათას ასსამოცი ) ლარის ფარგლებში.ბენეფიციარების რიცხვი თვეში 800 ერთეულს აჭარბებს. ყველაფერ ამას ემსახურება მაღალკვალიფიციური მედპერსონალი, აქედან 4 ექიმ–ფსიქიატრი.

გამომდინარე იქიდან ,რომ ჩვენ 2009 წლიდა ვთანამშრომლობთ შ.პ.ს. „ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრ"–თან, ვიცით მათი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობა და სიყვარული და ფართიც სადაც დღეის მდგომარეობით ვახორციელებთ სამედიცინო საქმიანობას მ/წლის 2.03 –დან მათი საკუთრებაა ჩვენ არ გვაქვს საწინააღმდეგო აზრი ბატონი ლაშა კილაძის წერილის მიმართ, პირიქით მივესალმებით ამ წინადადებას და ვფიქრობთ რადგან ერთი პროფილია ჩვენი პრობლემები მათთვის უფრო გასაგები და მოგვარებადი იქნება,ხოლო ჩვენი ბენეფიციარები „ფსიქიკური ჯანმრთელობის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფრო მაღალ და სრულყოფილ მომსახურებას მიიღებენ.

დირექტორი: / ე.შეროზია/

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 111632
08 11 2017 წ.
1 ფურცელი